მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.05.010.003**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია **მომზადების თარიღი**

N 882022114359 - 17/02/2022 14:15:29 **23/02/2022 11:59:46**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**05**	**010/003**

მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 195

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 4601.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.10.05.010.001;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021517379 , თარიღი 25/06/2021 16:33:24
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/06/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N210653698 , დამოწმების თარიღი:25/06/2021 ,ნოტარიუსი ე.ძულიაშვილი

მესაკუთრეები:
შპს "რენტა" , ID ნომერი:402187147

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "რენტა"

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 902018023961 თარიღი 22/11/2018 13:24:28

იპოთეკარი: **სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"** 204378869;
საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი:4601.00 კვ.მ;

იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000317076, დამოწმების თარიღი22/11/2018, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/11/2018

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022114359 თარიღი 17/02/2022 14:15:29

მოიჯარე: **შპს "ციტადელი"** 404924285;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 4601.00 კვ.მ.;
ვადა:3 წელი;

იჯარის ხელშეკრულება , რეესტრის ნომერი N220160789, დამოწმების თარიღი17/02/2022, ნოტარიუსი ეკატერინე ძულიაშვილი

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/02/2022

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01/02/2022

ერთი მხრივ, **შპს რენტა** (ს.კ.: 402187147) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ზაუტაშვილის მიერ (შემდგომში - **მეიჯარე**) და მეორე მხრივ, **შპს ციტადელი** (ს.კ.: 404924285) წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ქურცაძის მიერ (შემდგომში - **მოიჯარე**), შემდგომში, ორივე კომპანია ერთად მოხსენიებული, როგორც **მხარეები**, ხოლო ცალ-ცალკე - **მხარე**, თანხმდებიან და დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე დროებით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს მის საკუთრებაში არსებულ, პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებებს (შემდგომში „საიჯარო ფართი“).

1.2. საიჯარო ფართის მახასიათებლები: 1) საკადასტრო კოდი: 01.10.05.010.003, მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 195 და 2) 01.72.14.011.181, მის.: გია ხეოშვილის ქუჩა N 5

1.3. მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს ასევე საიჯარო ფართის წინ მდებარე მიწის ნაკვეთზე მოპოვებული უფლებით (გადაწყვეტილების № QN1758429, გადაწყვეტილების მიმღები ქონების მართვის სააგენტო) სარგებლობის უფლებას, რომლის თანახმადაც მოიჯარეს უფლება ეძნება გამოიყენოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ავტოპარკინგის მოსაწყობად და ქვეითების გადასაადგილებლად.

1.4. მოიჯარე იღებს დროებით სარგებლობაში ზემოაღნიშნულ საიჯარო ფართს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მოიჯარე:

2.1.1. ვალდებულია უზრუნველყოს მისი ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული საიჯარო ფართის სათანადო მოვლა, მისი დაცვა ნებისმიერი სახის დაზიანებისაგან.

2.1.2. ვალდებულია აცნობოს მეიჯარეს, თუ საიჯარო ფართს წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება;

2.1.3. მოიჯარეს არ შეუძლია გასცეს საიჯარო ფართი ქვეიჯარით, მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.1.4. ვალდებულია გაუფრთხილდეს საიჯარო ფართს და ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, შეინარჩუნოს მისი ძირითადი კონსტრუქციები და ელემენტები იმ მდგომარეობაში, როგორც იგი გადაეცა წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში;

2.1.5. ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საიჯარო ქირა;

2.1.6. ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო ფართის გამოყენებისას დაგროვილი კომუნალური და მსგავსი ტიპის გადასახადები (დასუფთავება, ელექტროენერგია, გაზი, წყალი, ინტერნეტი, ტელეფონი და ა.შ).

2.1.7. უფლებამოსილია განახორციელოს საიჯარო ფართში სარეკლამო ბანერების/ბანერების განთავსება დამატებითი ღირებულების ანაზღაურების გარეშე, იმ მოცემულობით რომ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები;

2.1.8. ვალდებულია მხოლოდ მეიჯარის თანხმობით, განახორციელოს საიჯარო ფართში სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ნებისმიერი სახის გაუმჯობესებები ან/და დამატებები, გარდა კოსმეტიკური სახის სამუშაოებისა.

2.1.9. განახორციელოს ნებისმიერი გაუმჯობესება საიჯარო ფართში საკუთარი ხარჯით და მეიჯარეს არ მოსთხოვოს აღნიშნულისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მოიჯარე უფლებამოსილია

გ. ქურცაძე

უზრუნველყოს საიჯარო ქონებაში დამონტაჟებული ნებისმიერი სახის გაუმჯობესებების ან/და დამატებების დემონტაჟი ან/და გატანა საიჯარო ქონებიდან, იმ პირობით რომ ასეთი გატანა არ დააზიანებს საიჯარო ფართს

2.2. მეიჯარე:

2.2.1. უფლება აქვს მოითხოვოს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური საიჯარო ქირა;

2.2.2. უფლება აქვს, ისეთ დროს და ვითარებაში, რომ არ შეაფერხოს მოიჯარის ჩვეული საქმიანობა, მოიჯარის თანდასწრებით თვითონ ან/და სათანადო სპეციალისტების დახმარებით შეამოწმოს საიჯარო ფართის მდგომარეობა, მოვლის პირობები და მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ფართის სათანადო მოვლისათვის საჭირო ზომების მიღება;

2.2.3. ვალდებულია ხელი შეუწყოს მოიჯარეს ადმინისტრაციული ორგანოებისგან კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვის/ლიცენზიის/თანხმობის მოპოვებაში, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი თანხმობა.

2.2.4. ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარე ელექტროენერგიით, გაზით, წყლით და სხვა კომუნიკაციებით. კერძოდ, უზრუნველყოს 10 კილოვატი ელ.ენერგიის და მინიმალური დიამეტრის მქონე წყლის მილის შემოყვანა საიჯარო ტერიტორიაზე, საკანალიზაციო სისტემის დაერთება და სხვა ისეთი სამუშაოების შესრულება, რაც საჭიროა საიჯარო ფართში კომუნიკაციების მოსაწყობად.

2.2.5. ვალდებულია საიჯარო ქონების მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების მიერ მოიჯარის საქმიანობის ხელის შეშლის ან მათ მიერ პრეტენზიების წარდგენის შემთხვევაში უზრუნველყოს ხელშეშლის აღკვეთა მისი შესაძლებლობის ფარგლებში და დაეხმაროს მოიჯარეს წარმოქმნილი დავის/პრობლემატური საკითხის მოგვარებაში.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია მისი ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

3.2. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

3.2.1. მეიჯარის მიერ თუ მოიჯარე მნიშვნელოვნად აუარესებს საიჯარო ფართის მდგომარეობას და გაფრთხილების მიუხედავად არ შეწყვეტს აღნიშნული ქმედების განხორციელებას;

3.2.2. მეიჯარის მიერ თუ მოიჯარე დროულად არ განახორციელებს საიჯარო ქირის გადახდას მეიჯარის მიერ ქირის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 5 დღის ვადაში; ამასთან, თუ მოიჯარე ორჯერ გადააცილებს საიჯარო ქირის გადახდის ვადას (4.5 პუნქტი), მაშინ მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი ვადის დაწესების გარეშე დაუყონებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება;

3.3. მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მეიჯარისთვის 10 (ათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე ვერ შეძლებს ადმინისტრაციული ორგანოსგან საიჯარო ფართში სავაჭრო სივრცის/ნაგებობების მშენებლობის ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებას. ასეთ შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მოიჯარეს ბოლო თვის საიჯარო ქირა, თუ ასეთი წინასწარ იყო გადახდილი მოიჯარის მიერ.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება განსაკუთრებული საფუძვლის გარეშეც, საკუთარი შეხედულებისამებრ, რაზედაც აღნიშნული მხარე სულ მცირე 6 (ექვსი) თვით ადრე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს.

3.5. მხარის მიერ 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია პირობის დამრღვევ მხარეს მოსთხოვოს ჯარიმის გადახდა. დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა გამოითვლება დარღვეული ვადის პროპორციულად და შეადგენს იმ პერიოდის საიჯარო

ქირას, რა პერიოდიდაც ირღვევა 3.4 პუნქტში დადგენილი ვადა (მაგალითისთვის: თუ მხარე ხელშეკრულების შეწყვეტას მოითხოვს მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების განხორციელდებიდან 1 თვისა და 10 დღის ვადაში, მეორე მხარე უფლებამოილია მას დააკისროს ჯარიმა 4 თვესა და 20 დღეში გადასახდელი ქირის ჯამური ოდენობით).

4. საიჯარო ქირა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ყოველთვიური საიჯარო ქირა იჯარით გადაცემული საიჯარო ფართის სარგებლობისთვის განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

4.2. საიჯარო ქირა 2022 წლის თებერვალსა და მარტში შეადგენს 7,001.25 აშშ დოლარს, ხოლო 2023 წლის თებერვლის თვემდე ყოველთვიურად 14,002.50 აშშ დოლარს, და 2023 წლის თებერვლიდან ხელშეკრულების დასრულებამდე ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 16,803.00 აშშ დოლარის ოდენობით.

4.3. საიჯარო ქირა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4.5. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი წესით: საანგარიშო თვის საიჯარო ქირა გადაიხდება საანგარიშო თვის წინა თვის 25 რიცხვამდე.

4.6. მოიჯარე ანგარიშსწორებას განახორციელებს უნაღდო წესით, მეიჯარის შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით:

- ბანკი: საქართველოს ბანკი
- ბანკის კოდი: BAGAGE22
- ანგარიშის ნომერი: GE52BG0000000499251017GEL

4.7. ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი იჯარით გადაცემული საიჯარო ფართით სარგებლობისათვის არ მოიცავს მუნიციპალური და კერძო წყაროებიდან მიღებული კომუნალური მომსახურების გადასახადებს და სხვა დამატებითი მომსახურების გადასახადებს, რომელსაც ფაქტობრივად მიიღებს მოიჯარე. ასეთ მომსახურებების გადახდაზე პასუხისმგებელია მოიჯარე. მომსახურებაზე, სადაც მოიჯარე დამოუკიდებლად აღირიცხება აბონენტად, გადახდები უნდა მოახდინოს შესაბამისი კომუნალური სერვისის მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადებში და პირობებით.

4.8. მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ქირის პირველი და მეორე თვის თანხა გადახადოს, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ბოლო თვე არაუგვიანეს 2022 წლის 15 თებერვლისა.

5. საიჯარო ქონების გადაცემა და დაბრუნების წესი

5.1. საიჯარო ფართის გადაცემა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. საიჯარო ფართი მოიჯარის მიერ შემოწმებულია და შესაბამისად მას არ გააჩნია არავითარი სახის პრეტენზია საიჯარო ქონების ნივთობრივად მდგომარეობასთან დაკავშირებით.

5.3. მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ფართი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, 5.4 პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

5.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო ქონებაში დამონტაჟებული ნებისმიერი სახის გაუმჯობესებების ან/და დამატებების დემონტაჟი ან/და გატანა საიჯარო ქონებიდან, ისე რომ გამორიცხული იქნეს საიჯარო ფართის დაზიანება. მხარეები ასევე შესაძლოა დამატებით შეთანხმდნენ, რომ იჯარის გასვლის შემდგომ გარკვეული სახის გაუმჯობესებები დარჩება მეიჯარეს შესაბამისი ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ.

5.5. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე არღვევს 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადას, მაშინ მეიჯარე უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ასეთ პერიოდზე გაგრძელდება საიჯარო ქირის დარიცხვა.

5.6. მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის დატოვების ფაქტობრივი თარიღისთვის გადახდილი უნდა ჰქონდეს ყველა და ნებისმიერი სახის მუნიციპალური და კერძო წყაროებიდან მიღებული კომუნალურების და სხვა სერვისების (მათ შორის და არა მხოლოდ ინტერნეტის) საფასური.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის შედეგად, კერძოდ წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით, ქმედებები, პანდემია, ეპიდემია (ფორს-მაჟორული გარემოებები).

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებები მეორე მხარისათვის ისედაც ცნობილია მათი საყოველთაო ხასიათის გამო.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

7.2. საიჯარო ქირის გადახდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება აქვს დააროცხოს მოიჯარეს გადაცილებული თანხის ყოველთვიური ქირის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

7.3. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

7.4. მხარეებს შორის არსებული დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება არ იქნება მიღწეული, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების სხვა პირობები

8.1. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. იმ შემთხვევების არსებობისას რაც არ არის გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულებაში გამოიყენება შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

8.2. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გამო, რის შედეგადაც იჯარის ხელშეკრულების რომელიმე მუხლის მოქმედება შეწყდა, ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები რჩება ძალაში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ყოველგვარი შესწორებების შეტანის აუცილებლობის შესახებ მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

8.4. მხარეთა შორის კომუნიკაცია შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონული ფოსტით(ა(ც). მხარეთა საკომუნიკაციო ელ-ფოსტები მოცემულია მხარეთა რეკვიზიტებში. ელ-ფოსტის მეშვეობით მიწოდებულ შეტყობინებას აქვს იგივე სამართლებრივი ძალა, რაც წერილობითი ფორმით წარდგენილს.

მეოჯარე - nbichasvhili@grada.ge მოიჯარე - T.chitorelidze@citadeli.com, A.mumladze@citadeli.com

8.5. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლარი ინახება თითოეულ მხარეებთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციის მიზნებისთვის.

მეოჯარე	მოიჯარე
შპს რენტა (ს.კ.: 402187147)	შპს ციტადელი (ს.კ.: 404924285)
დირექტორი - დავით ზაუტაშვილი	დირექტორი - გრიგოლ ქურციძე
----------	----------

მიღება-ჩაბარების აქტი

თბილისი, **01/02/2022**

ერთი მხრივ, **შპს რენტა** (ს.კ.: 402187147) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ზაუტაშვილის მიერ (შემდგომში - **მეიჯარე**) და მეორე მხრივ, **შპს ციტადელი** (ს.კ.:404924285) წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ქურციძის მიერ (შემდგომში - **მოიჯარე**), შემდგომში, ორივე კომპანია ერთად მოხსენიებული, როგორც **მხარეები**, ხოლო ცალ-ცალკე - **მხარე**, თანხმდებიან და დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მეიჯარემ დროებით სარგებლობაში გადასცა, ხოლო მოიჯარემ მიიღო საიჯარო ფართი.
2. მოიჯარე აცხადებს, რომ შეამოწმა საიჯარო ფართის მდგომარეობა, და წინამდებარე აქტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ფართი სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
3. წინამდებარე აქტზე ხელმოწერის შემდეგ, მოიჯარე არ არის უფლებამოსილი გამოთქვას რაიმე სახის პრეტენზია საიჯარო ფართის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მეიჯარე	მოიჯარე
შპს რენტა (ს.კ.: 402187147)	შპს ციტადელი (ს.კ.: 404924285)
დირექტორი - დავით ზაუტაშვილი	დირექტორი - გრიგოლ ქურციძე
----------	---------- გ. ქურციძე